GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

23 Aralık / დეკემბერი 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	5023.2	10.5%	20.6 %	10.4 %

Başbakan'ın Suudi Arabistan Resmi Ziyareti
პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საუდის არაბეთის სამეფოში

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili heyet ile birlikte Suudi Arabistan'da bulundu.
Başbakan, Sayın İrakli Garibashvili'nin başkanlık ettiği heyette Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı, Sayın Levan Davitashvili, Dışişleri Bakanı, Sayın İlia Darchiashvili ile Hükümet İdaresi Başkanı, Sayın Revaz Javelidze de bulunmaktaydılar.

Ziyaret çerçevesinde Başbakanımız, Suudi Arabistan Veliaht Prensi, Başbakan, Majesteleri Mohammed bin Salman Al Saud ile görüştü.
Al Yamamah Sarayında Başbakanımızı törenle karşıladılar.
Taraflar iki ülke arasındaki işbirliğinin olumlu dinamiği değerlendirip ekonomik işbirliğini derinleştirme perspektifleri ele aldılar. Gürcistan'ın Asya ve Avrupa'yı birbirine bağlayan bir geçiş merkezi ve büyük potansiyele sahip bir ulaşım koridoru olarak artan rolü ve önemini vurgulandı.
Suudi Arabistan tarafı Gürcistan'ın potansiyelini daha aktif olarak benimsemek için hazır olduğunu belirtti.
Tartışılan konular arasında turizm sektöründe mevcut işbirliğini derinleştirme perspektifleri idi. Başbakan turizmin Gürcistan ekonomisinin hızla büyüyen bir sektörü olduğunu, Suudi Arabistan vatandaşlarının vizesiz rejiminden yararlandiğini ve Suudi Arabistan'dan gelen ziyaretçi sayısının her yıl artmasının memnuniyetle karşılandığını belirtti.
Suudi Arabistan ziyareti çerçevesinde, Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili heyet ile birlikte inşaat halinde olan bölge- NEOM'u ziyaret etti.
NEOM Suudi Arabistan'da, Tabuk ilinde, uzunluğu 170 kilometre olan, inşaat halinde bir bölgedir.
Hükümet Başkanı heyet ile birlikte ayrıca eski şehri-Diriye, İlk İmam'ın Salwa Sarayi, İlk hükümdarların yaşadığı Al-Tuhaif ve Kurucu Kral Abdulaziz bin Abdul Rahman Al Saud adını taşıyan Arap atı müzesini de ziyaret etti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად საუდის არაბეთის სამეფოში იმყოფებოდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე იყვნენ.

ვიზიტის ფარგლებში პრემიერი საუდის არაბეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრეს, პრემიერ-მინისტრს, მის სამეფო უდიდებულესობა პრინც მოჰამედ ბინ სალმან ბინ აბდულაზიზ ალ საუდს შეხვდა.

ალ-იამამის სასახლეში პრემიერ-მინისტრის დახვედრის ცერემონია გაიმართა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა მიმოიხილეს და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანზიტო ჰაბის და დიდი პოტენციალის მქონე სატრანსპორტო დერეფნის, გაზრდილ როლსა და მნიშვნელობას. საუდის არაბეთის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, რომ უფრო აქტიურად იქნეს ათვისებული საქართველოს პოტენციალი.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ტურიზმის სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორია, საუდის არაბეთის მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ და მისასალმებელია, რომ საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

საუდის არაბეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, დელეგაციასთან ერთად, მშენებარე რეგიონის - NEOM-ის პროექტი დაათვალიერა.

ნეომი მშენებარე რეგიონია საუდის არაბეთში, ტაბუკის პროვინციაში, რომლის სიგრძეც 170 კილომეტრია.

მთავრობის მეთაურმა, დელეგაციასთან ერთად, ასევე დაათვალიერა ძველი ქალაქი დირია, პირველი იმამის სალვა-სასახლე, ატ ტურაიფის კომპლექსი, სადაც პირველი მმართველები ცხოვრობდნენ, და აგრეთვე დამფუძნებელი მეფის აბდულაზიზ ბინ აბდულ რაჰმან ალ საუდის სახელთან დაკავშირებული არაბული ცხენების მუზეუმი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Başbakan Diplomatları Yeni Yıl Resepsiyonunda Ağırladı

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიპლომატებს საახალწლო მიღებაზე უმასპინძლა

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili eşi, Sayın Nunuka Tamazashvili ile birlikte Gürcistan'da akredite edilmiş kordiplomatik ve uluslararası örgütler'in temsilcilerini Yeni Yıl Resepsiyonunda ağırladı.

Hükümet Başkanı Büyükelçiler'i gelecek bayramları tebrik edip, yıl boyunca elde edilmiş başarıları özetleyip gelecek planlarından bahsetti.

Sayın İrakli Garibashvili Diplomatlara desteği ve dostlukları için teşekkürlerini sundu.

Resepsiyonda Hükümet Temsilcileri de bulundular.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მეუღლესთან ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საახალწლო მიღებაზე უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა ელჩებს დამდეგი დღესასწაულები მიულოცა, წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებები შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დიპლომატებს მხარდაჭერისა და მეგობრობისთვის მადლობა გადაუხადა.

საზეიმო მიღებაზე ასევე იმყოფებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

Gürcistan'da 3-6 Ocak Tarihleri Tatil Günleri Olarak İlan Edildi

საქართველოში 3-დან 6 იანვრის ჩათვლით უქმე დღეები გამოცხადდა

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili'nin verdiği kararına göre, Gürcistan'da 3-6 Ocak tarihleri tatil günleri olarak ilan edildi.

Sözü geçen karar Gürcistan Ulusal Bankası'nın denetimine tabi kişiler nezdinde yerine getirilmesi gereken mali yükümlülükler ve Gürcistan "Devlet Alımlarına Dair" Kanun tarafından öngörülen devlet alımlarına ilişkin faaliyetler için geçerli değildir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოში 3-დან 6 იანვრის ჩათვლით უქმე დღეები გამოცხადდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ეს დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

Sn. İrakli Nadareishvili Türkiye'nin En Büyük Fintech Şirketi United Payment'in Yönetimi İle Görüştü

ირაკლი ნადარეიშვილი თურქეთის უმსხვილესი Fintech კომპანია United Payment-ის ხელმძღვანელობას შეხვდა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı, Sayın İrakli Nadareishvili Türkiye'nin en büyük Fintech şirketi- United Payment'in yönetimi ile görüştü.

Türk şirketi Gürcistan'da faaliyete başlamayı ve mali işlemler için yeni Fintech hizmetleri sunmayı planlıyor.

Sayın İrakli Nadareishvili'nin değerlendirmesine göre, United Payment hizmetler doğrultusunda oldukça ilginç bir portföye sahiptir ve bölgede, Azerbaycan, Romanya ve başka ülkelere aktif olarak yayılmaktadır .

United Payment Türkiye'de Fintech teknolojileri geliştirme alanında lider bir şirket olmakla birlikte hem yerel, hem de küresel pazarda FaaS (Fintech as a Service) sektöründeki şirketlere aşağıda belirtilen mali hizmetleri "Bir Pencere Prensip" ile sunan tek bir şirtkettir.

- Prepaid kartlar ve elektronik cüzdan
- Online ve Offline ödemeler
- Yurtiçi ve uluslararası havaleler
- Ödemeler için akıllı kutu ve kasalar
- Sadakat programları

Bakan Yardımcısına göre, hem şirketin Gürcistan'daki gelecek planları, hem Gürcistan yenilikçi ekosisteminin gelişimi doğrultusunda Yenilik ve Teknoloji Ajansı ile işbirliği hakkında ilginç bir konuşma yapıldı.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ირაკლი ნადარეიშვილმა თურქეთის უმსხვილესი Fintech კომპანია United Payment-ის ხელმძღვანელობას შეხვდა.

თურქული კომპანია საქართველოში საქმიანობის დაწყებას და ფინანსური ტრანზაქციებისთვის ინოვაციური პროდუქტების, ფინტექსერვისების ახალი, ფართო სპექტრის დანერგვას აპირებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ირაკლი ნადარეიშვილის შეფასებით, United Payment-ს საკმაოდ საინტერესო პორტფელი აქვს სერვისების მიმართულებით და ის აქტიურად ფართოვდება რეგიონში, მათ შორის აზერბაიჯანში, რუმინეთში და სხვადასხვა ქვეყნებში.

„United Payment"-ი ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით ლიდერი კომპანიაა თურქეთში და ის როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზარზე ერთადერთია, რომელიც FaaS (Fintech as a Service) ინდუსტრიაში კომპანიებს შემდეგ ფინანსურ მომსახურეობებს ერთი ფანჯრის პრინციპით სთავაზობს:

- Prepaid ბარათები და ციფრული საფულე
- Online და Offline გადახდები
- შიდა და საერთაშორისო ფულადი გზავნილები
- გადახდების Smart ყუთები და ჭკვიანი სეიფები
- ლოიალურობის პროგრამები

მინისტრის მოადგილის განცხადებით, საკმაოდ საინტერესო საუბარი შედგა როგორც კომპანიის მომავალ გეგმებზე საქართველოში, ასევე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ქართული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით თანამშრომლობაზე.

Başbakan'ın Talimatıyla, Gürcistan'dan Ukrayna'ya 25 Tane Yüksek Güçlü Jeneratör Gönderildi

პრემიერ-მინისტრის დავალებით, უკრაინაში საქართველოდან 25 ერთეული მაღალი სიმძლავრის გენერატორი გაიგზავნა

Gürcistan Hükümeti Ukrayna halkını aktif olarak desteklemeye devam etmektedir. Başbakan'ın emriyle alınmış 25 tane jeneratör Gürcistan'dan Ukrayna'ya gönderildi.

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı sistemine tabi tutulan- "Gürcistan Devlet Elektrik Sistemi" tarafından Ukrayna için toplam 1,5 milyon GEL değerinde endüstriyel amaçlı, yüksek güçlü jeneratörleri satın alınmıştı. Jeneratörler hastanelerde, yemekhanelerde, Ukrayna'da kritik altyapı ve diğer tesislerde kullanılacak.

Jeneratörlerin yüklenmesi sürecine Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı, Sayın Romeo Mikautadze ile Ukrayna Büyükelçiliği Maslahatgüzarı, Sayın Andrey Kasyanov katıldılar.

საქართველოს მთავრობა აგრძელებს უკრაინელი ხალხის აქტიურ მხარდაჭერას. პრემიერ-მინისტრის დავალებით შეძენილი 25 ერთეული გენერატორი საქართველოდან უკრაინაში გაიგზავნა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უკრაინისთვის შეიძინა 1,5 მლნ ლარის საერთო ღირებულების სამრეწველო დანიშნულების გენერატორები. ეს არის მაღალი სიმძლავრის გენერატორი, რომლებიც გამოყენებული იქნება სამრეწველო მიზნებისთვის - კლინიკებისთვის, საავადმყოფოებისთვის, კვების ობიექტებისთვის და უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და სხვა ობიექტებისთვის.

გენერატორების დატვირთვის პროცესს დაესწრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე და უკრაინის საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრეი კასიანოვი.

Mestia En İyi Turistik Yerlerinden Birisi Olarak Seçildi

მესტია ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დასახელდა

Birleşmiş Milletler Dünya Turizm Örgütü Projesi- “Best Tourism Villages by UNWTO” kazananlarından birisi Mestia.

Proje Dünya Turizm Örgütü’nün inisiyatiflerinden birisidir. Projeyi özel konumlara sahip olan bölge kazanmaktadır.

Birleşmiş Milletler Dünya Turizm Örgütü Üyesi olan 57 ülkeden 130’dan daha fazla varış yeri başvurusu arasından Mestia’nın seçilmesi büyük bir başarıdır.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის - „Best Tourism Villages by UNWTO“-ს ერთ-ერთი გამარჯვებული მესტიაა.

პროექტი - წარმოადგენს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ერთ-ერთ ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, გამარჯვებულის სტატუსი ენიჭება გამორჩეული დანიშნულების ადგილების მქონე ლოკაციებს;

აღსანიშნავია, რომ მესტია შერჩეულ იქნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრი 57 ქვეყნის 130-ზე მეტი დანიშნულების ადგილის აპლიკაციას შორის, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Helikopter Satın Almak İçin “AIRBUS HELICOPTERS” İle Sözleşme İmzalandı

“AIRBUS HELICOPTERS” - სთან შვეულმფრენის შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა

Gürcistan Hükümeti ile koordinasyon halinde, İçişleri Bakanlığı’nı güçlendirmek adına sınır polisi “H145” tipi 3 helikopteri satın alacak.

“H145” polis, nakliye, arama ve kurtarma görevlerini yerine getirebilen çokişlevli bir helikopterdir.

Yeni helikopterler yangınla mücadele ve dağ kurtarma ekipmanlarıyla tam donanımlı olacak. Uçuş güvenliğini artıran 2 motoru mevcut. Bu tip helikopter Gürcistan’ın dağlık arazisi göz önüne bulunduğunda mevcut görevlerle tamamen uyumlu olacak şekilde yüksek irtifada çalışma ve manevra yapma yeteneği ile ayırt edilir.



“H145” Almanya, İsviçre, Fransa, Kanada ve diğer ülkelerde polis ve acil durum hizmetleri tarafından başarıyla kullanılan “Airbus”un en son modellerinden biridir.

Sözleşme, yeni helikopterleri almanın yanı sıra pilot ve mühendis eğitimi, yedek parçaları alma ve 3 senelik fabrika garantisini içeriyor.

საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სასაზღვრო პოლიცია "H145"-ის ტიპის 3 შვეულმფრენს შეიძენს.

"H145" მრავალფუნქციური შვეულმფრენია, რომელსაც შეუძლია შეასრულოს პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციები.

ახალი შვეულმფრენები სრულად იქნება დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. მათ აქვთ 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას. ამ ტიპის შვეულმფრენი მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადი იქნება.

"H145" წარმოადგენს "Airbus"-ის ერთ-ერთ უახლეს მოდელს, რომელსაც წარმატებით იყენებენ გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები.

კონტრაქტი ახალი შვეულმფრენების შეძენასთან ერთად, მოიცავს პილოტებისა და ინჟინრების გადამზადებას, მარაგი ნაწილების შეძენასა და 3-წლიან საქარხნო გარანტიას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING



სავალდებულო სამხედრო სამსახური სრულად გადავა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში

Zorunlu Askerliği Tamamen Savunma Bakanlığı Sistemine Girecek

Microsoft-ი ლონდონის საფონდო ბირჟის ოპერატორი კომპანია London Stock Exchange Group-ის 4%-იან წილს ყიდულობს

Microsoft Londra Borsası Operatör Şirketi Olan London Stock Exchange Group'un %4'lük Hissesini Alacak

საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს ფასი იზრდება

Uluslararası Borsada Altın Fıyatı Artmaktadır

ბოლო ერთ წელიწადში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა თითქმის გაორმაგდა და 1 მილიარდ 675 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

Son Bir Yılda Doğrudan Yabancı Yatırımların Hacmi Neredeyse İkiye Katlanıp 1 Milyar 675 Milyon ABD Doları Oluştu

ანაკლიის პორტი სახელმწიფოს თანამონაწილეობით აშენდება

Anaklia Limanı Hükümetin İşbirliği İle İnşa Edilecek

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6740 **TRY/GEL** – 0.1432 **EUR/GEL** – 2.8446 **GBP/GEL** – 3.2313

USD/GEL

16 - 23 Aralık 2022

USD/TR

16 - 23 Aralık 2022

TRY/GEL

16 - 23 Aralık 2022

BTC – 16. 818. 08

16 - 23 Aralık 2022

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING